

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის
(კომისიის შექმნიდან დღემდე)
შემაჯამებელი ინფორმაცია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, კანონის შესაბამისად, საკრებულოს განკარგულებით N88 2014 წლის 26 სექტემბერი, დაინიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე.

2014 წლის 18 ივნისის მთავრობის დადგენილება N412 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის დადგენილების N36 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების თანახმად - 2014 წლის 3 ნოემბრის კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით N1, შეიქმნა კომისია და დაინიშნენ წევრები:

1. გელა კილაძე - კომისიის თავმჯდომარე (კონსერვატიული პარტია)
2. ადამ ხუბუნაიშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საკრებულოს დეპუტატი (თარხან მოურავი პატრიოტთა ალიანსის წევრი)
3. ელენე ნაჭყებია - კომისიის წევრი - საკრებულოს დეპუტატი, N1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ისტორიკოსი, (ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წევრი, სიის პირველი ნომერი)
4. დეკანოზი მირიანი (ფირცხალაიშვილი) - კომისიის წევრი - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის ლანჩხუთის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორი, მთავრობის დადგენილება N412 მუხლი 11. პუნქტი 1. და საკრებულოს დადგენილება N36 მუხლი 3. პუნქტი 4 - ის თანახმად, როგორც მოწვეული სპეციალისტი, ფილოლოგი, თეოლოგი.
5. ქეთევან სიხარულიძე - კომისიის წევრი, ჩოხატაურის საკრებულოს დეპუტატი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

2014 წლის 24 ოქტომბერს საკრებულოს დადგენილება N37 მიღებულ იქნა საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. ქართული ენის კარგად ცოდნა.
2. საოფისე კომპიუტერული პროგრამების Word და Excel- ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.
3. აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცოდნა.
4. საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება (საჯარო ან კერძო სამსახურში).

5. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობის დასაკავებლად - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება (საჯარო ან კერძო სამსახურში).
6. აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელისა და განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად - ბაკალავრი და 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება (საჯარო ან კერძო სამსახურში).
7. მთავარი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად - ბაკალავრი და 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვაკანტურად გამოცხადდა შემდეგი თანამდებობები:

1. საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობა (1 ადგილი).
2. საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის (2 ადგილი).
3. სამდივნოს ხელმძღვანელის (1 ადგილი).
4. თავმჯდომარის თანაშემწის (1 ადგილი).

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 2014 წლის 7 ნოემბერს ჩატარა სხდომა და ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად ტესტირების ზღვარი დაწესდა - 70% (42 სწორი პასუხი).
2. საორგანიზაციო განყოფილების უფროსის, სამდივნოს ხელმძღვანელისა და თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობების დასაკავებლად - 65% (39 სწორი პასუხი).
3. საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე ზღვარი განისაზღვრა - 55% - ით (33 სწორი პასუხი)

ასევე, კონკურსის ჩატარების წესზე დაყრდნობით კომისიამ მიიღო გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ფორმა, რომელიც არის ხმათა უმრავლესობა.

2014 წლის 19 ნოემბრის საჯარო სამსახურის ბიუროს ელექტრონული ვებ - გვერდის (hr.gov.ge) მეშვეობით გამოცხადდა კონკურსი ზემოთ ჩამოთვლილ ვაკანსიებზე. განაცხადების გაკეთების ვადად განსაზღვრული იყო 14 დღე, 2014 წლის 3 დეკემბრამდე.

კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად:

1. საბუთების გადარჩევა.
2. ტესტირება.
3. გასაუბრება.

გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებლად მსურველების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკრებულოს მიერ გამოცხადებულ 5 ვაკანსიაზე შემოტანილი იყო 92 განაცხადი.

საბუთების გადარჩევის შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ 92 განცხადებიდან მოთხოვნები დააკმაყოფილა 46-მა აპლიკანტმა, 46 კონკურსანტს დაუდგინდა ხარვეზი, მათ შორის ოთხი პიროვნების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ კომისიამ მიიჩნია დადგენილიყო შეესაბამებოდა თუ არა ბაკალავრის ხარისხს. განათლების სამინისტროს ხარისხის ცენტრში გადამოწმების შედეგად გაირკვა რომ არცერთი პიროვნების დიპლომი არ იყო ბაკალავრთან გათანაბრებული.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება იმ პირებს, ვისაც დაუდგინდათ ხარვეზი მიცემოდათ დამატებითი გამოსასწორებელი ვადა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კომისიის მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა 4 კონკურსანტს, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ ორ - ორ და სამ - სამ ვაკანსიაზე. საბოლოოდ ტესტირების ეტაპზე საბუთების გადარჩევის შედეგად გამოცხადებულ 5 ვაკანსიაზე 92 აპლიკანტიდან გადავიდა 58.

ტესტირება ჩაატარა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, 13-14 დეკემბერს ლანჩხუთში: N1, N3 და შუხუთის საჯარო სკოლებში. ტესტირების საბოლოო ოფიციალური შედეგები კომისიამ მიიღო 2014 წლის 23 იანვარს. ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით კომისიამ გამოავლინა მესამე ეტაპზე გასაუბრებაზე გადასული 46 აპლიკანტი, რომლებმაც გადალახეს დაწესებული ზღვარი შესაბამის 5 ვაკანსიაზე.

მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა, რომ გასაუბრების ეტაპზე გადავიდა ორი ჩემი კლასელი, მე კომისიის თავმჯდომარემ გამოვიყენე თვითაცილების უფლება მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ მავალდებულებდა კლასელის გამო აღნიშნულ ქმედებას. მაინც არ მიმიღია მონაწილეობა მთავარი სპეციალისტის ვაკანსიაზე გასაუბრებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

2014 წლის 23 დეკემბერს კომისიამ სხდომის დროს მიიღო გადაწყვეტილება გასაუბრების დღეს კითხვები დასმულიყო საკრებულოს მიერ გამოცხადებული და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკრეტულ ვაკანსიაზე სამუშაოთა აღწერილობის ირგვლივ, რათა ყველა აპლიკანტი ყოფილიყო თანაბარ პოზიციაში, ასევე კომისიის წევრებთან შეთანხმებულ იქნა ზოგადი ხასიათის კითხვები.

2014 წლის 27 დეკემბერს გასაუბრება გაიარა:

1. საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობზე (ერთი ადგილი) – 4 - მა აპლიკანტმა.
2. საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანსიაზე (ორ ადგილი) – 12 - მა კონკურსანტმა.
3. სამდივნოს ხელმძღვანელის ერთ ადგილზე - 3 - მმა.
4. თავმჯდომარის თანაშემწის ერთ ადგილზე - 6 - მა.

სულ: - 25 - მა კონკურსანტმა, 21 - არ გამოცხადდა.

2015 წლის 8 იანვარს მოწვეულ იქნა კომისიის სხდომა საბოლოო შედეგების გადაწყვეტილებების მისაღებად. კომისიის წევრებმა კანონის შესაბამისად გასაუბრების დღეს კონკურსანტებზე შექმნილი შთაბეჭდილებებისა, პროფესიისა და ტესტირების შედეგების გათვალისწინებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე რეკომენდაცია გაეწია - ნანა ბუეკალავას, რომელიც კონკურსამდე ასრულებდა ამავე თანამდებობაზე მოვალეობას. მას აღნიშნულ ვაკანსიაზე პრეტენდენტთა შორის ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა ტესტირების შედეგად.
2. საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კომისიის მიერ შერჩეულ იქნა - ნიკოლოზ კოზანაშვილის კანდიდატურა. რომელიც ასევე იყო მოვალეობის შემსრულებელი კონკურსამდე. მასაც აღნიშნულ ვაკანსიაზე ტესტირების ქულებით ყველაზე მაღალი შეფასება ჰქონდა.
3. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის ვაკანსიაზე შერჩეულ იქნა - ვერიკო კვირკველია, რომელიც მოვალეობას ასრულებდა ამ თანამდებობაზე. კვირკველიასაც მაღალი შეფასება ჰქონდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ. ის არის მაგისტრი, იურისტი საკმაოდ დიდი გამოცდილებით.
4. საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის ორ ადგილზე კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს - ლალი კიკაბიძისა და ნუნუ სულაკაძის კანდიდატურებს, რომლებსაც ამ ვაკანსიაზე მიღებული ჰქონდათ ყველაზე მაღალი ქულები ტესტირების დროს.

რამდენიმე ვაკანსიაზე გაიმართა განმეორებითი კენჭისყრები, რათა კომისიას გამოეყვლინა გამარჯვებული.

ასევე გაცნობებთ, რომ საკრებულოს აპარატის უფროსი რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით დაექვემდებარა ატესტაციას. აპარატის უფროსიც გავიდა ტესტირებაზე, მაგრამ ვერ გადალახა ბარიერი რომელიც დაუწესა კომისიამ. ამიტომ მის მიმართ 2014 წლის მთავრობის დადგენილება N411 შესაბამისად გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მიეწოდა საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი განხილვისათვის.

ზემოთ აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებები წერილობით ეცნობა საკრებულოს თავმჯდომარესა და თვით კონკურსანტებს.

აღვნიშნავია, რომ მათ შორის ვინც გაიარა გასაუბრება იყო რამოდენიმე ღირსეული პიროვნება. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს კონკურსში მონაწილეობისათვის და ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

დღეის მდგომარეობით როცა უკვე დასრულებულია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, ჯერ-ჯერობით რაიმე ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენთან არ ფიქსირდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ყველა კომისიის წევრს - ქალბატონებს ქეთევან სიხარულიძეს, ელენე ნაჭყებიას, ბატონებს ადამ ხუხუნაიშვილსა და ტარიელ ჯიჯიეშვილს ობიექტურობისათვის, იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულეს მათზე დაკისრებული ძალიან საპასუხისმგებლო და რთული მოვალეობები. განსაკუთრებული მადლობა დეკანოზ მირიანს (ფირცხალაიშვილი). რომ მიიღო ჩვენი შეთავაზება და დათანხმდა კომისიის წევრობას. ჩემთვის დიდი პატივი იყო დეკანოზ მირიანთან თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი მუშაობა კომისიაში.

ასევე დიდი მადლობა კომისიის სახელით საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს იმისათვის, რომ მოგვცა სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და არ ჩარეულა კომისიის მუშაობაში.

დიდი მადლობა ყველა მედია საშუალებას, გაზეთებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ კომისიის მუშაობის პროცესს.

დარწმუნებული ვარ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ საზოგადოება, ობიექტურად შეაფასებს კომისიის მუშაობას.